საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1235-03
25/04/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (ÖSD) 2017 წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარების, თარიღის განსაზღვრისა და საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ÖSD-(გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი)-გაერთიანებას შორის 2016 წლის 16 თებერვალს გაფორმებული საგამოცდო ლიცენზიის გაგრძელების შეთანხმების, 2017 წლის 20 აპრილის N35/1564 მინდობილობისა და ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორის, მზია გალდავაძის 2017 წლის 21 აპრილის #6620-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო წერითი გამოცდა (ÖSD) **A1,A2, B1, B2 და C2 ენობრივი დონეებისათვის** ჩატარდეს 2017 წლის 29 და 30 აპრილს, ხოლო ზეპირი გამოცდა 2017 წლის 1 და 3 მაისს, ავსტრიული კულტურის ცენტრის სასემინარო დარბაზში - უნივერსიტეტის S კორპუსის 507-ე აუდიტორიაში(გიორგი წერეთლის გასასვლელი N3).

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდისთვის (ÖSD) საგამოცდო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) მზია გალდავაძე - ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი (გამომცდელი-ლიცენზია N:1173; კომისიის თავმჯდომარე).

ბ) ნარგიზი ცინცაძე-დებიაზი - გამომცდელი-ლიცენზია N2089 (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ანა ბაკურაძე - გამომცდელი-ლიცენზია N1092 (კომისიის წევრი);

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი მზია გალდავაძე.

4. გერმანული ენის ავსტრიული საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ტექნიკურ ასისტენტად განისაზღვროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- მზევინარ ჭუმბურიძე.

5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ავსტრიული კულტურის ცენტრს, ფინანსურ სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ავსტრიულ ბიბლიოთეკასა და ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მინდობილი პირი